დამტიცებულია თჰუ აკადემიური საბჭოს
2024 წლის 10 იანვრის N01 დადგენილებით.
მოდიფიცირებულია
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 მარტის N5 გადაწყვეტილებით

შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებებისა და ანგარიშვალდებულების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი (შემდგომში - „წესი“), რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას.
2.უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის ძირითადი მოვალეობაა ბიუჯეტის კოორდინირება, მის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება, აღრიცხვის წარმოება, ხარჯებისა და შემოსავლების ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის კონტროლი. იგი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე და ვალდებულია ხელი შეუწყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის პრინციპების დანერგვას.

მუხლი 2. რექტორი

1. რექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია:

ა) ვიცე-რექტორი/ები;
ბ) საფინანსო სამსახური;
გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი;
დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

2. რექტორის დაქვემდებარებული პირები საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე;
3. რექტორის არყოფნის შემთხვევაში, რექტორის ბრძანების საფუძველზე რექტორის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვრება ვიცე-რექტორი;

მუხლი 3. ვიცე-რექტორი

1. ვიცე-რექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია:

ა) ფაკულტეტები;
ბ) სასწავლო პროცესის სამსახური;
გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
დ) კვლევებისა და განვითარების ცენტრი;
ე) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
ვ) სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური;
ზ)საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
თ)უწყვეტი განათლების ცენტრი;

მუხლი 4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

1. ადმინისტრაციის ხელმძღავნელის დაქვემდებარებაშია:

ა) იურიდიული სამსახური;
ბ) ადამიანური რესურსების სამსახური;
გ) კანცელარია;
დ) ბიბლიოთეკა;

ე) სერვისების სამსახური;
ვ) სამედიცინო დახმარების სერვისი;

მუხლი 5. პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესის მიზანი

1. პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესის დანერგვის მიზანია უნივერსიტეტის:
ა) თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და თანამშრომლის პასუხისმგებლობის ოპტიმალური გადანაწილება უნივერსიტეტის საერთო მიზნების მისაღწევად და განსაზღვრული სტრატეგიის ეფექტიანად განსახორციელებლად;
ბ) მართვის ხარისხის ამაღლება მენეჯერული ანგარიშვალდებულების სისტემის გაძლიერებით;
გ) თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისთვის მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანების ჩამოყალიბება;
დ) თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირისთვის უფლებამოსილებების იმგვარი დელეგირება, რომ მათ შეძლონ შესაბამისი ამოცანების ეფექტიანად განხორციელება და დასახული მიზნების მიღწევა;
ე) თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის დროულად და სრულად მიწოდება სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად;
ვ) ისეთი ანგარიშვალდებულების სისტემის არსებობა, რომელიც ავალდებულებს თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, უზრუნველყოს მიზნების მიღწევა მოცემული ბიუჯეტის, განსაზღვრული დროისა და იმ სტანდარტების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ ან მოთხოვნილია კანონმდებლობით, ასევე სრულ შესაბამისობაშია როგორც შიდა ფინანსურ, ისე სხვა რეგულაციებთან, მათ შორის წინმდებარე წესთან;
2. თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია მისი საქმიანობა იყოს შესაბამისობაში უნივერსიტეტში მოქმედ კონტროლის მექანიზმებთან.
3. უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს სამსახურის მიზნების შესაბამისობა ბიუჯეტით განსაზღვრულ ამოცანებთან და მიზნები იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი.
4. სერვისების მართვის ხარისხის ამაღლება მენეჯერული ანგარიშვალდებულების სისტემის გაძლიერებით.

მუხლი 6. ანგარიშვალდებულება
ვიცე-რექტორები, მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე, მათ შორის, მათ დაქვემდებარებაში მყოფი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების მიერ შესრულებულ სამუშაოზე მათი დაქვემდებარებების შესაბამისად;

მუხლი 7. ფინანსური რესურსების მართვა და ანგარიშვალდებულება;
ფინანსური რესურსების მართვა და ანგარიშვალდებულება განისაზღვრება შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების მართვისა და ანგარიშვალდებულების წესის შესაბამისად;